პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი

გადაწყვეტილება №გ-1/107/2015

ა.გ-ს განცხადებასთან დაკავშირებული განხილვის დასრულების შესახებ

ქ. თბილისი **31/07/2015**

განმცხადებელი: ა.გ

მოთხოვნა: სს „სადაზღვევო კომპანია იმედი ელ"-ის მიერ, განმცხადებლისათვის მის შესახებ პერსონალურ მონაცემთა დამუშავების თაობაზე ინფორმაციის მიწოდების წესების დარღვევაზე რეაგირება.

აღწერილობითი ნაწილი

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს, 2015 წლის ივნისში, განცხადებით მომართა მოქალაქე ა.გ-მ და მიუთითა, რომ ინსპექტორისთვის განცხადებით მომართვამდე ერთი კვირით ადრე მის სარგებლობაში არსებულ სატელეფონო ნომერზე დაუკავშირდა ვინმე დ.ზ, რომელიც გაეცნო როგორც სს „სადაზღვევო კომპანია იმედი ელ"-ის წარმომადგენელი. განმცხადებლის განმარტებით, როდესაც იგი დაინტერესდა თუ რა გზით გახდა კომპანიისათვის ცნობილი მისი სატელეფონო ნომერი და სხვა მონაცემები, სატელეფონო საუბარში კომპანიის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ სს „სადაზღვევო კომპანია იმედი ელ"-ს აქვს წვდომა შპს „ჯეოსელის" ბაზებთან.

ა.გ-მ კომპანიის მიერ ზარის განხორციელების თარიღშივე, ელექტრონული ფოსტის მეშვეობით მიმართა კომპანიის წარმომადგენელს და მოითხოვა მისი პერსონალური მონაცემების მოპოვების/შეგროვების გზების შესახებ ინფორმაცია, რაზეც პასუხად მიიღო, რომ კომპანია სხვადასხვა წყაროებიდან იღებს ინფორმაციას, მათ შორის ინტერნეტსაიტებიდან და პარტნიორი კომპანია ალდაგის ძველი ბაზებიდან, კომპანიის წარმომადგენელს კი მხოლოდ ჯანმრთელობის დაზღვევის საკითხებზე შეეძლო საუბარი. მოქალაქემ ინსპექტორის აპარატში წარდგენილ განცხადებას მტკიცებულების სახით დაურთო აღნიშნული ელექტრონული მიმოწერის ამსახველი ფოტომასალა.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის გადაწყვეტილების საფუძველზე, განსახილველად იქნა მიღებული ა.გ-ს განცხადება და საქმის გარემოებათა შესწავლის მიზნით, 2015 წლის ივნისის წერილით სს „სადაზღვევო კომპანია იმედი ელ“-იდან გამოთხოვილ იქნა ინფორმაცია. კერძოდ, მიმართა თუ არა განმცხადებელმა მისი პერსონალური მონაცემების შეგროვების გზების შესახებ ინფორმაციის მოთხოვნით კომპანიას, მიაწოდა თუ არა მოთხოვნილი ინფორმაცია კომპანიამ კანონით დადგენილ ვადაში და უფლების შემზღუდველი გარემოების არსებობის შემთხვევაში, რა საფუძვლით შეეზღუდა მოქალაქეს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლით გათვალისწინებული უფლება. ამავე წერილით ასევე მოთხოვნილ იქნა ინფორმაცია, თუ საიდან გახდა სს „სადაზღვევო კომპანია იმედი ელ“-ისათვის ცნობილი განმცხადებლის პერსონალური მონაცემების შესახებ.

საპასუხო წერილით კომპანიამ განმარტა, რომ განმცხადებლის სატელეფონო ნომერი სს „სადაზღვევო კომპანია იმედი ელ“-ისათვის ცნობილი გახდა 2015 წლის იანვარში, ა.გ-ს მიერ, სადაზღვევო პროდუქტის შესახებ ინფორმაციის მიღების მიზნით, კომპანიაში განხორციელებული სატელეფონო ზარის მეშვეობით. წერილში მითითებულია, რომ კომპანიამ განმცხადებლის სატელეფონო ნომერი დააფიქსირა შესაბამის ბაზაში, რადგან სატელეფონო საუბრის შინაარსიდან ირკვეოდა, რომ განმცხადებელს სურდა კომპანიის სადაზღვევო პროდუქტის შესახებ სრულყოფილი ინფორმაციის მიღება. ამასთან, ა.გ-ს არ მოუთხოვია მისი ტელეფონის ნომრის ბაზიდან წაშლა ან/და მასთან კომუნიკაციის შეწყვეტა. კომპანიის წერილს ერთვის სატელეფონო საუბრის ჩანაწერი, საიდანაც ირკვევა, რომ განმცხადებელი თავად დაუკავშირდა კომპანიას სადაზღვევო პროდუქტების შესახებ ინფორმაციის მისაღებად და თავად მიაწოდა კომპანიის წარმომადგენელს ინფორმაცია მისი სახელის, გვარის, ასაკისა და სამუშაო ადგილის შესახებ.

საქმის გარემოებებისა და პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერების შესწავლის მიზნით, ინსპექტორის გადაწყვეტილებით, 2015 წლის ივლისში გაიმართა განცხადებასთან დაკავშირებული ზეპირი განხილვა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს განმცხადებელმა და კომპანიის უფლებამოსილმა წარმომადგენელმა.

ზეპირ განხილვაზე ა.გ-მ 2015 წლის იანვარში კომპანიაში განხორციელებულ სატელეფონო ზართან დაკავშირებით აღნიშნა, რომ მიმდინარე წლის დასაწყისში ბევრ სადაზღვევო კომპანიას დაუკავშირდა სადაზღვევო პროდუქტებზე ინფორმაციის მიღების მიზნით და შესაძლოა მათ შორის ყოფილიყო სს „სადაზღვევო კომპანია იმედი ელ“-იც. სასურველი ინფორმაციის მიღების შემდგომ მან კომპანიის წარმომადგენელს სთხოვა შეეწყვიტათ მასთან კომუნიკაცია, თუმცა მას მაინც უკავშირდებოდნენ კომპანიის სახელით და კვლავ სთავაზობდნენ მომსახურებას. 2015 წლის ივნისში კი, როდესაც მოსთხოვა კომპანიის წარმომადგენელს მისი პერსონალური მონაცემის - სატელეფონო ნომრის მოპოვების გზების შესახებ ინფორმაციის მიწოდება, პასუხად მიიღო, რომ კომპანიას წვდომა აქვს შპს „ჯეოსელის“ ბაზებთან და ამ გზით ხდება ინფორმაციის მიღება.

განმცხადებელმა ასევე მიუთითა, რომ მისი სატელეფონო ნომერი ნამდვილად შპს „ჯეოსელის“ ქსელშია რეგისტრირებული, მან გადაამოწმა მისი სატელეფონო ნომრის მოპოვების/შეგროვების შესახებ კომპანიის მხრიდან მიღებული ინფორმაცია, რაზეც შპს „ჯეოსელმა“ მიუთითა, რომ აბონენტთა სატელეფონო ნომრების ბაზა არ გადაუცია კომპანიისთვის და აღნიშნულ ბაზაზე არც რაიმე სახის წვდომა მიუნიჭებია.

ზეპირი განხილვის სხდომაზე სს „სადაზღვევო კომპანია იმედი ელ“-ის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ განმცხადებლის სატელეფონო ნომერი კომპანიისათვის ცნობილი გახდა ა.გ-ს მიერ განხორციელებული სატელეფონო ზარის მეშვეობით, რის შემდეგაც ა.გ-მ ტელეფონის ნომერი აისახა კომპანიის ბაზაში. კომპანიის წარმომადგენლის განმარტებით, სატელეფონო ნომერი ინახება, როდესაც მომხმარებელი ურეკავს კომპანიას და გამოხატავს სურვილს, რომ კომპანია სამომავლოდ დაუკავშირდეს მას, წინააღმდეგ შემთხვევაში ტელეფონის ნომერი იშლება და არ ინახება. ამასთან, კომპანიის წარმომადგენლის მითითებით, ინფორმაციის გადამოწმების შემდგომ ვერ იქნა მოძიებული განმცხადებლის მიერ სს „სადაზღვევო კომპანია იმედი ელ“-თან შემდგომ კომუნიკაციაზე უარის თქმის შესახებ მტკიცებულება. ელექტრონული ფოსტის მისამართთან დაკავშირებით კომპანიის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ განმცხადებლის სურვილით განხორციელდა კონკრეტული სადაზღვევო პროდუქტის შესახებ ინფორმაციის მისი ელექტრონული ფოსტის მისამართზე გაგზავნა და ამ გზით გახდა ცნობილი კომპანიისათვის ა.გ-ს ელექტრონული ფოსტის მისამართი. კომპანიამ მიიჩნია, რომ განმცხადებელი დაინტერესდა კომპანიის პროდუქტით და კომპანიის წარმომადგენლები მას უკავშირდებოდნენ როგორც პოტენციურ მომხმარებელს. განმცხადებელმა ზეპირ განხილვაზე ასევე აღნიშნა, რომ მისი სატელეფონო ნომრის მოპოვების გზების შესახებ ინფორმაცია კომპანიისგან ამ დრომდე არ მიუღია. კომპანიის წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ კომპანიას ა.გ-სთვის არ მიუწოდებია ინფორმაცია, რომ მისი სატელეფონო ნომერი კომპანიისათვის ცნობილი გახდა განმცხადებლის მიერ კომპანიაში განხორციელებული სატელეფონო ზარის მეშვეობით.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორისგან უფლებამოსილი პირის მიერ შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი. ოქმში აღნიშნულია, რომ სს „სადაზღვევო კომპანია იმედი ელ“-ის მიერ დარღვეულ იქნა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მოთხოვნა. კერძოდ, მონაცემთა დამმუშავებელმა არ მიაწოდა მონაცემთა სუბიექტს მოთხოვნილი ინფორმაცია მისი პერსონალური მონაცემის - სატელეფონო ნომრის შეგროვების გზების შესახებ. ზემოაღნიშნული ოქმის ხელმოწერაზე სს „სადაზღვევო კომპანია იმედი ელ“-ის უფლებამოსილმა წარმომადგენელმა უარი განაცხადა და მიუთითა, რომ სადაზღვევო აგენტი, რომელიც კომპანიის სახელით უკავშირდებოდა განმცხადებელს არ იყო უფლებამოსილი გაეცა ა.გ-ს მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია, რადგან იგი არ არის კომპანიის წარმომადგენელი და მისი საქმიანობის სფერო შემოიფარგლება მხოლოდ სადაზღვევო პროდუქტების შესახებ კლიენტებისთვის ინფორმაციის მიწოდებით.

სამოტივაციო ნაწილი

1. პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორმა იმსჯელა სს „სადაზღვევო კომპანია იმედი ელ“-ის მიერ, ა.გ-ს პერსონალური მონაცემების, კერძოდ: სახელის, გვარის, ტელეფონის ნომრის და ელექტრონული ფოსტის მისამართის დამუშავების კანონიერების შესახებ.

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „თ“ პუნქტის თანახმად, მონაცემთა დამუშავება დასაშვებია თუ იგი აუცილებელია მონაცემთა სუბიექტის განცხადების განსახილველად (მისთვის მომსახურების გასაწევად).

განცხადების განხილვის ფარგლებში დადგინდა, რომ სს „სადაზღვევო კომპანია იმედი ელ“-ისათვის განმცხადებლის სატელეფონო ნომერი ცნობილი გახდა ა.გ-ს მიერ 2015 წლის იანვარში, კომპანიაში განხორციელებული სატელეფონო ზარის მეშვეობით, რა დროსაც მან გამოთქვა სურვილი მიეღო სრულყოფილი ინფორმაცია კომპანიის პროდუქტის შესახებ. სატელეფონო საუბრის შინაარსიდან ასევე ირკვევა, რომ განმცხადებელმა საკუთარი სურვილით მიაწოდა მისი ვინაობის შესახებ ინფორმაცია კომპანიის წარმომადგენელს, ხოლო მისი ელექტრონული ფოსტის მისამართი კომპანიისათვის მიწოდებული იქნა კონკრეტული სადაზღვევო პროდუქტის შესახებ პრეზენტაციის ელექტრონული ფაილის მიღების მიზნით.

კომპანიის წარმომადგენლის მითითებით, ა.გ-ს პერსონალური მონაცემების დამუშავების მიზანი იყო განმცხადებლის მოთხოვნის შესაბამისად, მისთვის მომსახურების/სადაზღვევო პროდუქტის შეთავაზება, რადგან 2015 წლის იანვარში განხორციელებულ სატელეფონო საუბარში ა.გ გამოთქვამდა სურვილს შეეძინა კომპანიის სადაზღვევო პროდუქტი. ამასთან, კომპანიის წარმომადგენლის განმარტებით, ა.გ პერსონალური მონაცემების დამუშავების შეწყვეტის თაობაზე მოთხოვნა კომპანიას არ მიუღია და კომპანიამ მიიჩნია, რომ განმცხადებელი კვლავ იყო დაინტერესებული მომსახურების პირობების შესახებ ინფორმაციით. მისი პერსონალური მონაცემების დამუშავების შეწყვეტის თაობაზე მოთხოვნის არსებობის დამადასტურებელი მტკიცებულება არ წარმოუდგენია განმცხადებელსაც. შესაბამისად, გამოირკვა, რომ ა.გ-ს პერსონალური მონაცემების: სახელის, გვარის, ტელეფონის ნომრისა და ელექტრონული ფოსტის მისამართის დამუშავების მიზანს წარმოადგენდა განმცხადებლისათვის მომსახურების გაწევა.

ყოველივეზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სს „სადაზღვევო კომპანია იმედი ელ“-ის მიერ ადგილი ჰქონდა პერსონალური მონაცემების დამუშავებას „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონის მე-5 მუხლის „თ“ პუნქტით გათვალისწინებული საფუძვლით.

2. პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორმა იმსჯელა მონაცემთა დამმუშავებლის მიერ ა.გ-სთვის ინფორმაციის მიწოდების წესის დარღვევის შესახებ

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის თანახმად, მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, მონაცემთა დამმუშავებელს მოსთხოვოს ინფორმაცია მის შესახებ მონაცემთა დამუშავების (მათ შორის შეგროვების გზის) თაობაზე. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, აღნიშნული ინფორმაცია მონაცემთა დამმუშავებელმა მონაცემთა სუბიექტს უნდა მიაწოდოს მოთხოვნისთანავე, დაუყოვნებლივ, ან 10 დღის ვადაში, თუ ინფორმაციის მოთხოვნაზე პასუხის გაცემა მოითხოვს ინფორმაციის სხვა დაწესებულებაში ან სტრუქტურულ ერთეულში მოძიებასა და დამუშავებას ან მასთან კონსულტაციას; მნიშვნელოვანი მოცულობის, ერთმანეთთან დაუკავშირებელი დოკუმენტების მოძიებასა და დამუშავებას; სხვა დასახლებულ პუნქტში არსებულ მის სტრუქტურულ ქვედანაყოფთან ან სხვა საჯარო დაწესებულებასთან კონსულტაციას.

2015 წლის ივნისში, კომპანიის წარმომადგენლის მიერ, განმცხადებლის პერსონალური მონაცემების შეგროვების წყაროს შესახებ, ელექტრონული ფოსტის მეშვეობით მიწოდებული ინფორმაცია არ შეესაბამებოდა სიმართლეს, რადგან, როგორც განცხადების განხილვის შემდგომ დადგინდა, კომპანია განმცხადებლის პერსონალურ მონაცემებს ფლობდა განმცხადებლის მიერვე განხორციელებული სატელეფონო ზარის მეშვეობით. შესაბამისად, კომპანიის წარმომადგენელმა განმცხადებელს, 2015 წლის ივნისში ელექტრონული ფოსტის მეშვეობით მიაწოდა მცდარი ინფორმაცია პერსონალური მონაცემების შეგროვების წყაროს შესახებ, რაც ვერ იქნება მიჩნეული პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის 21-ე მუხლით გათვალისწინებულ ინფორმაციის მიწოდებად. ამდენად, სს „სადაზღვევო კომპანია იმედი ელ“-ის მიერ დარღვეული იქნა მონაცემთა სუბიექტის მიერ ინფორმაციის მოთხოვნის უფლება.

ვერ იქნება გაზიარებული კომპანიის არგუმენტი, რომ სადაზღვევო აგენტი, რომელიც კომპანიის სახელით უკავშირდებოდა განმცხადებელს, არ იყო უფლებამოსილი გაეცა მოთხოვნილი ინფორმაცია და რომ მისი საქმიანობის სფერო მოიცავს მხოლოდ სადაზღვევო პროდუქტების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას, რადგან ა.გ-ს მიერ 2015 წლის ივნისში, ელექტრონული ფოსტის მეშვეობით გაგზავნილი წერილი მიიღო კომპანიის წარმომადგენელმა, რასაც მოწმობს სს „სადაზღვევო კომპანია იმედი ელ“-ის ელექტრონული ფოსტის მისამართიდან გაგზავნილი საპასუხო წერილი. კომპანიას არ წარმოუდგენია მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებს, კომპანიის წარმომადგენლის მიერ განმცხადებლისათვის მცდარი ინფორმაციის მიწოდების შემდგომ, სს „სადაზღვევო კომპანია იმედი ელ“-ის მიერ მიწოდებული იქნა დაზუსტებული ინფორმაცია ა.გ-ს პერსონალურ მონაცემთა შეგროვების წყაროს შესახებ. ზეპირ განხილვაზე კომპანიის წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ კომპანიას განმცხადებლისთვის არ მიუწოდებია ინფორმაცია, რომ მისი სატელეფონო ნომერი კომპანიისათვის ცნობილი გახდა განმცხადებლის მიერ კომპანიაში განხორციელებული სატელეფონო ზარის მეშვეობით.

ამდენად, სს „სადაზღვევო კომპანია იმედი ელ“-ის მხრიდან ადგილი ჰქონდა მონაცემთა სუბიექტის ინფორმირების წესის დარღვევას, რაც „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის შესაბამისად წარმოადგენს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველს.

ყოველივე ზემოაღნიშნულისა და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2, მე-5, 21-ე, 27-ე, 34-ე, 39-ე, 50-ე და 55-ე მუხლების საფუძველზე,

ინსპექტორმა გადაწყვიტა:

1. დასრულდეს ა.გ-ს განცხადებასთან დაკავშირებული წარმოება, განმცხადებლის მოთხოვნა დაკმაყოფილდეს და ეცნობოს მიღებული გადაწყვეტილების შესახებ;
2. სს „სადაზღვევო კომპანია იმედი ელ“ ცნობილ იქნეს სამართალდამრღვევად „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენაში და ადმინისტრაციული სახდელის სახით შეეფარდოს ჯარიმა 100 (ასი) ლარის ოდენობით;
3. ჯარიმის გადახდა უნდა მოხდეს გადაწყვეტილების ჩაბარებიდან 30 დღის განმავლობაში;
4. ეცნობოს სს „სადაზღვევო კომპანია იმედი ელ“ -ს მიღებული გადაწყვეტილების შესახებ;
5. გადაწყვეტილება შესაძლებელია გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6) ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან 10 (ათი) დღის ვადაში.

თამარ ქალდანი

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი